

## ფონტების კონკუსის პირობები

ტერმინთა განმარტება:

1. კონკურსი - ქართული ანბანის შრიფტების კონკურსი. რომლის საფუძელზეც გამოვლენილი საუკეთესო ფონტები განთავსდება კონკურსის ვებ-გვერდზე ქართულია.com და georgiana.ge (შემდგომში-ვებ-გვერდი) და ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი მომხმარებლისათვის.
2. კონკურსის ორგანიზატორი (შემდგომში - ორგანიზატორი) - კომპანია შპს „ლივინგსტონ ლაბ“ ს/კ 405070364.
3. კონკურსის ჟიური (შემდგომში - ჟიური) - ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული პირები, რომლებიც შეაფასებენ წარმოდგენილ შრიფტებს და გამოავლენენ გამარჯვებულებს.
4. კონკურსანტი - ნებისმიერი ფიზიკური პირი რომელიც დარეგისტრირდა ვებ-გვერდზე და ატვირთა საკონკურსო ფონტები.
5. საკონკურსოდ წარდგენილი მასალა (შემდგომში - მასალა/შრიფტები - კონკურსის ფარგლებში კონკურსანტის მიერ ყოველ კონკრეტულ კატეგორიაში წარდგენილი/ატვირთული ერთი ერთეული შრიფტი.
6. ერთი ერთეული შრიფტი - ქართული ანბანის 33 სიმბოლოს ერთი კონკრეტული ვერსია ვებგვერდზე განსაზღვრული პირობების/სტანდარტის მოთხვნათა დაცვით.

პირობები

1. კონკურსში მონაწილეობით დაინტერესებული პირი უნდა დარეგისტრირდეს ვებგვერდზე, შეიყვანოს თავისი მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი/პასპორტის ნომერი, დაბადების თარიღი ელ-ფოსტის მისამართი და კატეგორია, რომელშიც სურს მონაწილეობის მიღება. კონკურსანტად დარეგისტრირება უფასოა.
7. კონკურსანტი უფლებამოსილია საკონკურსოდ წარადგინოს შრიფტები ნებისმიერ კატეგორიაში. თითოეულ კატეგორიაში ერთ კონკურსანტს შეუძლია მხოლოდ ერთი შრიფტის წარდგენა. კონკურსანტს

კონკურსის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ელ-ფოსტის მეშვეობით.

8. კონკურსის დასრულების შემდგომ (იხილეთ ვადა ვებგვერდზე მითითებული) საკონკურსო მასალა აღარ მიიღება.

9. კონკურსის ვადის დასრულებამდე კონკურსანტს შეუძლია დააკორექტიროს მის მიერ წარდგენილი ნამუშევარი/მასალა. შრიფტის საკონკურსოდ წარდგენის ვადის ამოწურვის შემდგომ კონკურსანტს მასალის დაკორექტირების უფლება აღარ გააჩნია.

10. ნებისმიერ კატეგორიაში მონაწილეობისას კონკურსანტმა ვებგვერდზე მითითებული პირობების დაცვით უნდა ატვირთოს ქართული ანბანის 33-ვე ასო. ამ მოთხოვნების დარღვევით წარდგენილი (ნაკლოვანების/არასრული) კონკურსანტის ნამუშევარი/შრიფტი არ იქნება განხილული ჟიურის მიერ.

11. კონკურსანტად რეგისტრაციით:

კონკურსანტი ეთანხმება კონკურსის პირობებს და თანხობას აცხადებს მათ სრულად და დროულად შესრულებაზე.

კონკურსანტი ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა კონკურსში და მის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალა(მასალის ნაწილი) ან/და მასალის წარმოდგენა არ არღვევს მესამე პირთა უფლებებს, მესამე პირებს არ გააჩნიათ მოთხოვნის ან/და პრეტენზიის უფლება. მესამე პირთა მხრიდან კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ მასალასთან დაკავშირებით განცხადებული ნებისმიერი მოთხოვნის/პრეტენზიის/დავის შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კონკურსანტს, როგორც კონკურსის მიმდინარეობის, ასევე მისი დასრულების შემდგომ პერიოდშიც.

წარდგენილ მასალასთან დაკავშირებული დავის შესახებ კონკურსანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ორგანიზატორს

12. კონკურსანტი უფლებამოსილია კონკურსის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე მოხსნას თავისი ნებისმიერი ან ყველა შრიფტი კონკურსიდან, რისთვისაც არ დაეკისრება პასუხისმგებლობა.

13. კონკურსში გამარჯვებულ მასალასთან დაკავშირებით მესამე პირის მხრიდან დავის შემთხვევაში ორგანიზატორი უფლებამოსილია შეაჩეროს გამარჯვებული მასალის შემდგომი გამოყენება დავის დასრულებამდე.

14. კონკუსანტი ვალდებულია მასალასთან დაკავშირებით მესამე პირთან მოთხოვნა/პრეტენზია/დავისაგან დაიცვას ორგანიზატორი და საჭიროების შემთხვევაში ორგანიზატორს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

15. თუ გამოვლინდა გამარჯვებული კონკუსანტის მხრიდან პლაგიატის ფაქტი, გამარჯვებული ვალდებულია დააბრუნოს კონკუსის ფარგლებში მიღებული თანხა, ამასთან, ორგანიზატორი იტოვებს უფლებას მის მიერ შემდგომში გამოცხადებულ კონკუსებზე არ დაუშვას ასეთი ქმედების ჩამდენი პირი.

16. ორგანიზატორი უფლებამოსილია მედიის (პრესის, ტელევიზიის, ბეჭდური მედიისა, და სოციალური მედიის) საშუალებით გაავრცელოს კონკურსანტებისა და წარდგენილი მასალის შესახებ ინფორმაცია, წარდგენილი მასალის ფოტო ან სხვა ვიზუალური გამოსახულებები.

17. ორგანიზატორი ვალდებულია ის შრიფტები, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს კონკურსში, არ გამოიყენოს და არ გაავრცელოს არც ერთი ფორმით და დაიცვას მესამე პირთან მხრიდან მასზე არასანქცირებული წვდომა.

18. კონკურსის მიმდინარეობის პერიოდში კონკურსანტს ეკრძალება მის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალა წარადგინოს სხვა ნებისმიერ კონკურსზე. წარდგენილ შრიფტზე კონკურსანტს უნდა გააჩნდეს ყველა ქონებრივი/საავტორო უფლება და ეს უფლებები არ უნდა ჰქონდეს გადაცემული სხვა პირისათვის.

19. კონკურსანტი, რომელმაც ვერ გაიმარჯვა კონკუსში, უფლებამოსილია საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალა გამოიყენოს ნებისმიერ ფორმით შეუზღუდავად, მათ შორის, წარადგინოს ნებისმიერ სხვა კონკუსზე.

20. გამარჯვებულ კონკუსანტს ელ-ფოსტით ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალებით ეცნობება გამარჯვების შესახებ.
21. გამარჯვებული კონკურსანტი ვალდებულია კონკურსში გამარჯვების შესახებ არ გააკეთოს განცხადება/კომენტარი ან/და არ გაახმაუროს, ორგანიზატორთან შეთანხმების გარეშე.
22. კონკურსის ჟიური დამოუკიდებელია თავის გადაწყვეტილებაში და შერჩევის კრიტერიუმებს თავად განსაზღვრავს. ჟიურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე პრეტენზია არ დაიშვება.
23. ყოველ თითოეულ კატეგორიაში ვლინდება ორი გამარჯვებული, პირველ და მეორე ადგილზე გასული კონკურსანტები. პირველ და მეორე ადგილზე გასულ კონკურსანტებს ორგანიზატორი აჯილდოებს შემდეგნაირად: I ადგილზე გასულ კონკურსანტს გადაეცემა – 2000 (ორი ათასი) ლარი, II ადგილზე გასულ კონკურსანტს - 1000 (ათასი) ლარი.
24. გამარჯვებულ შრიფტებზე ყველა საავტორო/ქონებრივი უფლება ეკუთვნის კონკურსანტს.
25. გამარჯვებული კონკურსანტი უფლებამოსილებას ანიჭებს ორგანიზატორს, განათავსოს გამარჯვებული შრიფტები ვებგვერდზე საჯარო გამოყენებისათვის (უსასყიდლოდ) გარდა შრიფტ(ებ)ის კომერციული მიზნებით გამოყენებისა.
26. კონკურსში გამარჯვებული შრიფტი ორგანიზატორის მიერ აიტვირთება ვებგვერდზე საჯარო გამოყენების მიზნით.
27. ვებგვერდზე განთავსებული გამარჯვებული შრიფტების შემდგომ გამოყენებასთან/მართვასთან დაკავშირებით ორგანიზატორსა და გამარჯვებულ კონკუსანტს შორის გაფორმდება ხელშეკრულება.
28. მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.